# ერი

ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო

(ივლისის 11)

(ივნისის 28)

1920 წელი

№ 28

ფასი 5 მან.

„კლდე"

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება

ფასი წლის დამლევამდე 150 მან.

მისამართი კონტორის: დამფუძ. კრებ. ქ. № 5
რედაქციის: წყნეთის ქ. № 17

ტელეფონი 22.

მეხილეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

## „ქართლი"

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლს" გორის სამაზრო ერობასთან ერთად აქვს გასაყიდათ მომზადებული დიდძალი ზამთრის ხილი. მსურველთ შეუძლიანთ დაკვეთა ხელმისაწვდომ ფასებში

ფუთობით და ვაგონობით

აქაურ თუ საზღვარ-გარეთულ ბაზრისთვის გამზადებული (упаковка).

მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 4, „ქართლი". ამხანაგობის გამგეობა.

## დამფუძნებელი კრების

## ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ, გლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო საჭიროებათა (ადგილ მამულის, სურსათის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) დროზე დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება

**ტფილისში** მთავარ კომიტეტის ბინაზე. წყნეთის ქ. № 17 ტელეფ. № 22

**ახალციხეში:** სამაზრო კომიტეტში რაფ. ალელიშვილთან

**ახალქალაქში:** სამაზრო კომიტეტში, (საგიტა ნადირაძესთან)

**ქუთაისში** სამაზრო კომიტეტში (ორპირის ქ. დავ. ლოლობერიძის სახლში),

**ზესტაფონში** სამაზრო კომიტეტში (ბესარიონ კელენჯერიძის სახლი)

**საჩხერეში** სარაიონო კომიტეტში თამ ქავთარაძესთან.

**სოხუმში:** აფხაზეთის საოლქო კომიტეტში თავმჯდომარე ვლადიმერ პახუემუხვართან.

## კორესპონდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მუდმივათ აწვდიან რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი და ეძლევათ

**ჰ ო ნ ო რ ა რ ი.**

კორესპონდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების ფაქტების შესახებ.

## ბათუმის გადმოცემა საქართველოზე

(სააგენტოს ცნობა)

**ბათომი.** 7 ივლისს საქართველოს ჯარები ბათომში შევიდა. 6 ივლისს შემუშავებული იქნა შეხვედრის გეგმა და ცერემონიალი. შეხვედრის მომწყობმა კომისიამ უკვე საღამოდან დაიწყო მზადება, ქალაქი ეროვნულ დროშებით გირლიანდებით და არკებით შეიკაზმა. სანახაობა, რომელიც ბათომის მცხოვრებლებს 7 ივლისს წარუდგა მათ მეხსიერებიდან ამოუშლელი დარჩება. ყველა სახლი, მაღაზია საქართველოს ეროვნულ დროშებით იყო მორთული. ყველა აივანი და ფანჯარა ხალიჩებით არის დამშვენებული. ყველაფერი ყვავილებში და მწვანეულობაში იყო ჩაფლული. დილიდან ქალაქს განსაკუთრებული სიცხოველე დაეტყო.

10 საათზე მოქალაქენნი გავიდენ ქალაქიდან ჯარების შესახვედრათ. ქალაქის კიშკართან აუარებელი ავტომობილი და ეტლი იყო ყვავილით, ტოტებით და დროშებით მორთული. უპირველესად ყოვლისა სრული სამხედრო მოწყობილობით გაიარა ინგლისის ჯარებმა. საქართველოს ჯარები განზე იდგა და ქალაქში შესვლის ბრძანებას უცდიდა. აქვე იყო საქართველოს უმაღლესი სარდლობა გენერალ კვინიტაძის მეთაურობით. მკერდით ედგა ვ. ჯუღელი თავის შტაბით, აქვე იყო გენ. გედევანიშვილი. დაიწყო მისალმებანი. მთავარ სარდალი და მთელი გენერალიტეტი მოდის, ისმის ტაშის ცემა და შეუწყვეტელი „ვაშა". მეჯლისის თავმჯდომარე მაჰმედ ბეგ აბაშიძე ქალაქის თავის მოადგილესთან ერთად მთავარსარდალს პურმარილით მიეგება. შემდეგ იტალიის კონსულმა ვატტანამ ქართულ ჯარებს მისალმებით მიმართა; ეროვნულ საბჭოს, ბერძნების, სომხეთის ეროვნულ საბჭოს, პოლონელების, ებრაელების და სხ. ერების წარმომადგენლები გამოვიდენ; მისალმებების შემდეგ ჯარებმა ქალაქში შესვლა დაიწყეს. ქალაქში ჯარის შესვლას მიესალმა დამფ. კრების წევრი ი. რამიშვილი. როდესაც ჯარები ქალაქის ცენტრს მიუახლოვდენ მათ ხალხი ყვავილებს ესროდა. ჯარის შემდეგ ქალაქში ჯუღელის, ხიმშიაშვილის და სხ. მეთაურობით ცხენოსანი გვარდიელები შევიდენ. ცხენოსან გვარდიელების შემდეგ შევიდენ ბათუმელი გვარდიელები.

ჯარები ჩამწკრივდენ სმეკალოვის ქუჩის ორივე მხარეზე. მარცხენა მხარეზე მოკავშირეთა ჯარები დგას; მარჯვენა მხარეზე კი — საქართველოს ჯარები. ქუჩის შუაგულში ორ დიდ სვეტზე ინგლისის და საფრანგეთის დროშა ფრიალებს. ალლუმის შემდეგ, რომელიც გენ. კვინიტაძემ და ბრიტანეთის სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა კუკ-კოლისმა მიიღო, დაიწყო მოკავშირე დროშების ძირს დაშვება. მოკავშირეთა ორკესტრმა ინგლისისა და საფრანგეთის ეროვნული ჰიმნები დაუკრა. შემდეგ კუკ-კოლისის ჩვენებით ორმა მატროსმა, რომლებიც სვეტებთან იდგენ, ნელ-ნელა ჩამოუშვა ინგლისის და საფრანგეთის დროშა. დაუყოვნებლივ გვარდიელთა ორკესტრმა ქართული ეროვნული ჰიმნი დაუკრა და სვეტის თავზე საქართველოს რესპუბლიკის დროშა სწრაფად აფრიალდა გენ. კუკ-კოლისმა მთავარ სარდალს მიულოცა. ისმის განუწყვეტელი „ვაშა" „გაუმარჯოს" მისასალმებელი ხმები დრედნოუტების ზარბაზნების და ჩვენი ზარბაზნების ხმაურს უერთდება. ამით დასრულდა ალლუმი. მოკავშირეთა ჯარები დაეწყვენ და გემებისაკენ წავიდენ. საქართველოს ჯარები კი, რომლებმაც მთავარსარდლის მთავრობის წარმომადგენლობის, გარეშე საქმეთა მინისტრ გეგეჭკორის, დამფუძ. კრ. თავმჯდომარის და მეჯლისის წინ ცერემონიალურ მარშით გაიარეს, მრავალ ათასი ხალხის მისასალმებელ ხმაურში ყაზარმებისაკენ გაემურენ.

ივლ. 8 დღის 3 საათზე მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ე. პ. გეგეჭკორმა, გენ. კვინიტაძემ. შტაბის უფროსმა გენ. ზაქარიაძემ, საგანგებო რწმუნებულმა მ. ხოჭოლავამ და დ. ლამბაშიძემ ინახულეს ესკადრის უფროსი ამირბარი სეიმური. ნავთსადგურთან მოიყვანეს კატერი, რომელმაც ყველანი დრედნოუტ „ინდოეთის იმპერატორზე" გადასხა. შეხვედრისას ინგლისელებმა გაამწკრივეს საპატიო ყარაული რომლის დათვალიერების შემდეგ სტუმრები მიიწვიეს კაიუტ-კამპანიაში. ამირბარმა საქართველოს აყვავების სადღეგრძელო წარმოსთქვა ე. გეგეჭკორმა საპასუხოთ ადღეგრძელა ინგლისის ფლოტი და ამირბარი სეიმური. გეგეჭკორისა და საქართველოს სხვა წარმომადგენლების წამოსვლისას დრედნოუტზე აწიეს ქართული ეროვნული დროშა, და 17 გაისროლეს ზარბაზანი.

## სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის ტელეგრამა.

სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისმა ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსთან გაერთიანების გამო შემდეგი მილოცვა გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას:

„სამუსლიმანო საქართველოს სრულ უფლებიანი მეჯლისის პრეზიდიუმი გულწრფელ სალამს უძღვნის საქართველოს დამფუძნებელ კრებას და ულოცავს ბრწყინვალე გამარჯვებას. პრეზიდიუმი აღტაცებას გამოსთქვამს მეჯლისის გასული წლის 31 აგვისტოს სხდომაზე ღვთისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის წინაშე გამოტანილ დადგენილების განხორციელებაზე. სამუსლიმანო საქართველოს დედა საქართველოსთან შეერთება ფაქტად იქცა და მეჯლისის მუშაობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. პრეზიდიუმი ღრმად დარწმუნებულია, რომ მეჯლისის დადგენილების მეორე მხარეც: სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიურათ მოწყობა სულ ახლო მომავალში განხორციელდება, ფიცსა სდებს, რომ ჩვენს მოძმე ქართველ ქრისტიანებთან ერთად უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და არავის მისცემს ნებას მისი უფლებების გათელვისას.

გაუმარჯოს მთლიან „ისტორიულ საქართველოს".

# აჭარა და საქართველო.

ბათუმის გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს" № 395 მოთავსებულია შემდეგი წერილი დავ. ვაჩნაძისა სათაურით: „არ შესცდეთ":

„მახსოვს აჭარისათვის საშინელი 1915 წელი.

მოვიდნენ ოსმალები; მიანგრიეს, მოანგრიეს აჭარა, გაირეკეს ახალგაზრდა აჭარლები და წავიდნენ.

მათ შემდეგ აჭარას ეწვია შურის მაძიებელი — რუსების ჯარი; აჭარლებმა გვილალატესო, დაჰკა მაგათო.

და დაიწყო უმაგალითო აწიოკება, დარბევა აჭარისა, სოფლების გადაბუგვა, კაცების დახვრეტა, დედაკაცების შეურაცხყოფა.

ცეცხლით წაკიდებულ სოფლების ბოლი შავ ღრუბლად გადაეფარა აჭარის მთებს.

ქართველებო, ძმებო! გვიშველეთ. დაგვეხმარეთ, ვიღუპებით! გაისმა ხმა დარბეულ აჭარისა.

მოვდივართ, გამხნევდით, — მოისმა პასუხი ქართველობისა.

და ჩვენ ქართლ-კახეთიდან გადმოვეშურეთ აჭარაში საშველად; ჩვენი დრუჟინა შეიჭრა აჭარის შუა გულში და რკინის რკალივით გარშემოვერტყეთ ჩვენს ძმებს აჭარლებს.

ბევრი აჭარელი ვიხსენიეთ მაშინ სიკვდილის კლანჭებისაგან, მრავალი აჭარელი ქალი გამოვგლიჯეთ ველურ ყაზახებს ხელიდან; ბევრი ბავშვი გადავარჩინეთ და შევუნახეთ აჭარას.

მთელი ქართველი საზოგადოება ფეხზე დადგა და აჭარისაკენ წამოვიდა ფხვავდ ფული, პური, ტანსაცმელი.

და გამოვაბრუნეთ მშვენიერი აჭარა, ჩავბერეთ მას კვლავ სიცოცხლე და ნუგეში მომავალ სრულ აღდგენისა.

მას შემდეგ გაიარა ხუთმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა.

რუსეთი დაინგრა; საქართველო თავისუფალი აღსდგა.

მხოლოდ აჭარის მხარე კვლავ ანარქიის და უბედურების ქარ ბუქში მოექცა.

ამის წყალობით აჭარა საქართველოს მტრების ბუდედ გადაიქცა.

აჭარა გადირია. შეიძლება იმდენად, რომ დღეს, როცა მთელმა ევროპამ აღიარა ქრისტიან და სამუსლიმანო საქართველოს ერთის ქართულ დროშის ქვეშ აღდგენა, როცა ქართველთა ლაშქარი მოდის აჭარისაკენ, მოეჩქარება მხოლოდ ერთის მიზნით — ბოლშევიკებში შეკრულ აჭარის საბოლოოდ განთავისუფლება; თურმე ზოგიერთი აჭარელი ქართველ მხედრობას ტყვიით დახვედრას უპირებს.

ვაჰ, მკრიღის მაგიერ!

ეს წარმოუდგენელია, შეუძლებელია, გადასარევი ამბავია.

ვის უპირებენ სროლას, თავის მხსნელებს, თავის ძმებს, ქართველებს?!...

არა, არ მჯერა, რომ ეს განზრახვა აჭარლებისა იყოს. ეს საქართველოს მტრების ლაქირავებული აგაზაკების საქმეა.

არავინ აჰყვეს მათ ბოროტ ზრახვებს.

არავინ გაებას მათ ხაფანგში.

ღმერთმა დაგიფაროსთ თქვენი მხსნელ ძმების სისხლის დაღვრისაგან.

აჭარლებო, არ შესცდეთ, არ ჩაიდინოთ საშინელი დანაშაული. ძმამ ძმის სისხლში ხელი არ გაისვაროთ."

# ოსების აჯანყების გაკვეთილი.

ოსი ჩვენი ისტორიული, ეროვნული მტერია და მხოლოდ დემოკრატიულ დურაკებს ფედერალისტების და სოციალ დემოკრატების ბანაკიდან ეგონათ, რომ მათი ბრძოლა სოციალისტური მტრობა იყო ფეოდალურ წესწყობილების წინააღმდეგ.

მეფურ საქართველოს, ფეოდალურს და უკანასკნელ ხანებში „თავად-აზნაურულს", ოსები კიდევ ისე გაათრებით არ ებრძოდნენ, როგორც დემოკრატიულს, რომელსაც ორი წლის განმავლობაში ოთხჯერ ჩასცეს მახვილი წელში.

ხიზანთა საკითხი, რომელიც არსებითად იყო ოსური საკითხი, საკითხი ოსის ბრძოლისა რუსების შემწეობით საქართველოს წინააღმდეგ, ჩვენმა „დემოკრატიამ" გამოაცხადა დემოკრატიის ბრძოლად თავად-აზნაურობის წინააღმდეგ და საუცხოვოდ შეეწყო ვარანცოვ-დაშკოვის სახიზნო „კანონმდებლობა" ფედერალისტების და სოციალ დემოკრატების პრესისა თუ მოლაპარაკების პროპაგანდას. სომხები, ს.-დ. ს.-ფ. და ვარანცოვ-დაშკოვი იყვნენ ამ ბრძოლაში ოსების მხარეზედ და მარტო ჩვენ, ნაციონალისტები, ვხედავდით და ვყვიროდით სინამდვილეზედ. ჯერ კიდევ პარლამენტშიაც და მგონი დღესაც მართველ პარტიას ვერ შეუგნია ამ საკითხის სიმწვავე და გაიძახდა და გაიძახის ძმობასა და სოლიდარობაზედ, როცა მისი გვარდია, შემცდარი, ვიგონებთ, წმინდა წყლის დემოკრატიისაგან, სპობს ოსურ „დემოკრატიას", რომელსაც ძმობას ეფიცებოდნენ მათი ლიდერები.

მაგრამ ძველის მოგონება, მარტო „თვალის გამოსათხრელად" — პოლიტიკური უაზრობა იქნებოდა, რომ, ამ მოგონებას ორი მხარეც არა ჰქონოდა.

ჯერ ერთი ისტორიული პერსპექტივის გახსენებამ უნდა გამოუქეჩოს ყური ჩვენს დემოკრატიას და დაანახვოს, რომ ყოველ მოვლენას თავისი სახელი და თავისი, მაშასადამე, საშუალებანი უნდა გამოეძებნოს და მეორეც, მეორე უკიდურესობაში გადავარდნა არა ნაკლებ სახიფათოა პოლიტიკურად.

მაგრამ ჩვენ რას ვხედავთ? ოსები სისტემატიურად გვეცემოდნენ და გვანადგურებდნენ, იჭერდნენ ქართულ მიწებს და ამას ხელს უწყობდა, როგორც რუსული კანონმდებლობა, ისე დემოკრატიული იდეა, მარტო იმიტომ რომ ეს მიწა ეკუთვნოდა თავად-აზნაურობას (თუმცა ქართველს). რევოლუციამ ამ ბრძოლამ ისეთი ხასიათი მიიღო, თითქო ოსობა ცხინვალისა, საჩხერის და სხვა საზარელ ამბებით (მოიგონეთ ციციშვილების, ვეზირიშვილების და სხვათა დახოცვა) ებრძოდა თავად-აზნაურობას და ფაქტიურად ანადგურებდა ჩვენს კულტურულ ბუდეებს და მუშაკთ. ჯერი მიდგა გორიგი მაჩაბელსა და კეცხოველამდე, მაგრამ ჩვენი მმართველი წრეები მაინც ყურს არ იბერტყავდნენ და „დემოკრატიული" საშუალებით და პროპაგანდით ანელებდნენ ბრძოლას. ამ უკანასკნელ ამბების წინა დღეებშიაც, როცა ჯავასა და ცხინვალს შუა თითქმის სასანგრო ბრძოლები იყო და სისხლი იღვრებოდა, დამფუძნებელი კრების ყოფილი ერთი წევრი, ს.-დ. ბანაკიდან, გორში გაგზავნილი, მარწმუნებდა, რომ ის იყო ოსებში და „კარგი რეზოლუცია გამოიტანეს საქართველოზედაო". მე შევხედე როგორც არა სრულ ჭკუაზე მყოფ ადამიანს, მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ რეზოლუციით სწყდებოდა ოსების საკითხი.

ასე იყო დღემდე. დღეს, არ ვიცით ვისი ბრძანებით, მაგრამ ჩვენ მეორე უკიდურესობაში გადავცვივდით და ცეცხლითა და მახვილით გავიარეთ იქ, საცა სიტყვით ვერა გავაწყეთ რა. მაგრამ სიტყვასა და მახვილს შუა გონიერებას უნდა ჰქონდეს პირველი ადგილი დათმობილი. მართალია, გონება კიტრი არ არის, რომ ყოველ გაზაფხულს ან ყოველ ოსურ აჯანყების დროს მოვიდეს, მაგრამ როცა მაზედ მიუთითებენ, ანგარიშში მაინც უნდა მიიღონ „ნაციონალისტები, შოვინისტები, კაციჭამიები" და სხვა სალანძღავ ეპიტეტების მატარებელნი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სასტიკ დამსჯელ რაზმებითაც საქმე არ გასწორდება, პირიქით, შეიძლება უფრო გამწვავდეს. გოროლები ტყუილად კი არ ამბობდნენ, როცა ვხედავდით ოსურ კოცონებს, ცამდე ანთებულთ: ისევ ჩვენი შესახახი გახდებიანო და მართლაც სავსეა გორი გამოქცეულ ოსებით. სოფლების გადაწვა, საქონლის დატაცება, ცოლშვილის გაუპატიურება-დახოცვა საომარი ნემეზიდაა, მაგრამ მეტ ნიადაგსა ჰქმნის უკმაყოფილებისა და აჯანყებისათვის, როცა ცოცხალი, შერაცხებული ძალა გაურბის ბრძოლას და გულში იხვევს მხოლოდ შურსა და სისხლსა. ოსებში კი ასე მოხდა სწორედ. ოსობა ჯანიანი, ვაჟკაცობა, გაიქცა და აქ დაგვიტოვა მხოლოდ უმწეონი და მოლალატენი, რომელნიც პატივში ჰყავს მართველ პარტიას. მაშასადამე, საფთხე ოსური დროებით არის მოშორებული და კვლავ უფრო სასტიკად არის მოსალოდნელი. იხარჯება ფული, დრო, ენერგია ეროვნული, იღვრება სისხლი ჩვენი და მათი, ნიავდება ქონება ჩვენი და მათი, სახელმწიფო ღარიბდება ორმაგად, მაგრამ ბოროტება არ ისპობა.

ერთად ერთი საშუალება ოსების დაწყნარებისა და ამ საკითხის სამართლიანად და გონივრულად გადაჭრისა არის აქაურ და რუსეთის ოსების შორის კავშირის გაწყვეტა. მართალია, ბ-ნ ურეტაძის ზავმა გააუქმა ეს უკანასკნელი შესაძლებლობაც, მაგრამ მთავრობა ხომ ურატაძის ხელქვეითი ვერ გახდება. ოსები მძლავრობენ იმით, რომ აქედან შეწუხებულნი, გადარბიან ულელტეხილს იქით და შეწუხებულნი იქიდან, გადმორბიან ჩვენკენ. ერთხელ და სამუდამოდ ეს უნდა მოისპოს. სულ რამდენიმე სოფელი ულელტეხილზედ რომ აიყაროს და მიეცეთ მათ უკეთესი მიწები და ცხოვრების საშუალებანი ან კახეთში, ან ბორჩალოში, ან სხვაგან სადმე, მათ ალაგზედ კი დასახლდეს ქართველობა, მთიულები განსაზღვრულის უპირატესობით, როგორც, მაგალითად, ქართველი მთიელები ხევსურებს და სხვათა, საკმარისი იქნება ჩვენი უზრუნველყოფა ზურგიდან ოსებს შეუძლიანთ მუშაობა, და მათი ეკონომიური უნარი გამოსაყენებელია სახელმწიფოსათვის; მაგრამ პოლიტიკური უპირატესობანი ჩვენს ხალხზედ, რაც ეძლეოდათ რუსებისა და ჩვენი მთავრობისაგან — ყოვლად მიღებულია ისევე, როგორც უკანასკნელი სისასტიკე, რადგან არსებითად შედეგები ერთნაირი მოჰყვება.

ჩაე.

# აძერბეიჯანთან ორის გამო

(ორი ჯგუფი).

აძერბეიჯანის მხრიდან რუსების საქართველოზე თავდასხმაში ჩვენ გავეცანით ორი ჯგუფის ქართველებს, რომელთა საქმენი ფრიად საგულისხმიეროა, მაგრამ პრესაში მაინც არ ყოფილა გაშუქებული.

პირველ ჯგუფს შეადგენენ ის ქართველი ოფიცრები, რომელნიც, ერთგვარად დევნილნი სამშობლოში მარქსის მოძღვრების მიუღებლობისათვის, იძულებული გახდნენ მაშინ ჩვენი მოკავშირის, აძერბეიჯანის სამსახურში შესულიყვნენ.

როდესაც საბედისწერო ზარმა ჩამოჰკრა, როდესაც გამხეცებული რუსის ჯარები, შეერთებულნი აძერბეიჯანის თათრებთან, ჩვენ სამშობლოს მოადგნენ გ სანადგურებლად და გასაგლეჯად, მაშინ ამ ჯგუფმა გამოიჩინა მაღალი გრძნობა მამულიშვილობისა: მათ განუცხადეს იქაურ მთავრობას, რომ სამშობლო საქართველოს წინააღმდეგ არ იომებენ.

მოგეხსენებათ, რომ ასეთი განცხადებისათვის მათ დახვრეტა მოელოდათ. მაგრამ ქართველობის გრძნობა მათში ისე ძლიერი აღმოჩნდა, რომ იგი ვერავითარმა ძალამ ვერ დაირგუნა. ეს გრძნობა საქართველოს არსებობის უმთავრესი ბურჯია, იგია ჩვენი იმედი და სიამაყის საგანი. საქართველო თავის ისტორიაში ჩაწერს და არასოდეს არ დაივიწყებს ამ ოფიცერთა ჯგუფს.

მართალია, მათ სამსახური ვალით ედოთ ოფიციალურად ადერბეიჯანის წინაშე; მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ოფიცრობა ჩვენი, როცა იქ სამსახურში, შედიოდა, შედიოდა მოკავშირე ადერბეიჯანის სამსახურში და ეს კი საქართველოს დაცვას ნიშნავდა და არა მის წინააღმდეგ ბრძოლას, მაშასადამე ზნეობრივად ისინი აქ სრულიად უდანაშაულონი არიან.

ვხედავთ ჩვენ ამ ომის დროს მტერთა ბანაკში ქართველობის მეორე ჯგუფს: ესენი ის ვაჟბატონები ბრძანდებიან, ქვეყანას რომ სამოთხედ გადაქცევას პირდებიან და საშინელი ძარცვა-გლეჯით და უდანაშაულო ქალთა და ბავშვთა ჟლეტით არიან ცნობილნი; ესენი ქართველი ბოლშევიკები არიან. ისე გაირყვნენ, ისე გაიხრწნენ და გაუტიფრდნენ ეს ძალა-უფლების მაძიებელნი, რომ არც კი გაწითლდნენ, ისე შეურთდნენ საქართველოს დაუძინებელ მტრებს და სამშობლოს გასანადგურებლად აიხედრენ, იმიტომ რომ მათი ანარქიული და ქვეყნის დამღუპველი პროგრამა ხალხმა უარჰყო და ისინი კისერზე არ დაისვა.

აი ამას ჰქვიან საშინელი ღალატი, რომელსაც საქართველო არასოდეს არ დაივიწყებს.

ზოგიერთმა მათგანმა ისე დაკარგა კაცის სახე, ისე დამახინჯდა, რომ დელეგატადაც კი გამოცხადდა საზავო კონფერენციაზე.

ჩვენ ვიცით, რა ამოქმედებდათ ჩვენში თუ სხვაგან სამშობლოს მოღალატეებს ისტორიულ წარსულში, ვიცით რისთვის მოუძღოდნენ სამშობლო ქვეყნის ასაოხრებლად საქართველოს მტრებს.

მაგრამ ჩვენი დროის მოღალატეებს კი იმედი გაუცრუვდათ და ვერც მოესწრებიან იგინი საქართველოში დიდ კარიერას; ამის იმედი გვაქვს.

კონსტ. ლომთაძე.

# მიმოხილვა

### სოციალ-დემოკრატიულ ფერხულში

ბ-ნ ს. დევდარიანი სწერს „ერთობაში":

„არ ვარ ოპტიმისტი და არ ვფიქრობ, რომ კაპიტალიზმის დღე დათვლილია. ევროპაში მოსალოდნელია ისეთი რყევები, რომელ-

ლიც უკან დაახევინებს, სხვათა შორ-ს, საქართველოს დემოკრატიასაც. უფრო სამართლიანათ მომეჩვენა კაუცკის აზრი ერთ მის ბოლო დროინდელ წერილში გამოთქმული. ის სწერდა, რომ შეიძლება კაპიტალიზმი ხელახლა აყვავდეს ომის შემდეგ, ეს დამოკიდებული იქნება ძისი დასრულების საერთაშორისო პირობებზე.

აღმოსავლეთის უხვი ნიადაგი ჯერ კიდევ დიდი სარბიელია ევროპის კაპიტალიზმისთვის. გამოიყენებს თუ არა ის ამ საზრდოს, გადაეღობება თუ არა წინ ბოლშევიზმი თავის „სოციალისტური" დროშით, თუ ბოლშევიკური ქვეყანა თითან შეერევა კაპიტალიზმის ფერხულში?—ეს რთული კითხვა თანამედროვე მომენტის არ გადაიჭრება ერთი და ორი ურიალი დებულებით.

შეიძლება ჩვენ ადგას სხვა მმართველი ძალა გაჩნდეს აქაც, ამ პატარა ქვეყანაში. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ჩვენ შევინახავთ საჭირო ძლიერებას იმ გზით, რომლითაც ახლა მივდივართო".

ამას წინად კი იგივე ავტორი საინტერესო ცნობას იძლეოდა იმ „წყეულ" კითხვათა, რომელნიც ქეჯნიან სოციალ-დემოკრატიულ სვინდისს:

„ჩვენ გვსმენია ბოლშევიზმი ეკონომიურათ განუვითარებელი სახელმწიფოს შვილიაო, მაგრამ ამითი ხომ ყველაფერის გაგება არ შეიძლება, საჭიროა ამაზე ხანგრძლივი საუბარი.

თუ ბოლშევიზმი ეკონომიურათ განუვითარებელი სახელმწიფოს შვილია, მაშ რით აიხსნება, რომ საქართველოში მენშევიზმი მეფობს? საქართველო ხომ ეკონომიურათ განუვითარებელია?

შემდეგ: „ჩვენში, პოლიტიკაში ბატონობს მუშა ხალხი, ეკონომიკაში კი ბურჟუაზია. კ. მარქსმა კი სთქვა: ეკონომიკა პოლიტიკის საფუძველიაო. ეს ორი დებულება ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. რათ ხდება ასე"? სწორეთ ეს საკითხი ჩვენთვის დახლართულია.

კიდევ რევოლიუციის დროს დაარსდა მომრიგებელი კამერები და სატარიფო პალატა. აქ დგება პრინციპიალური საკითხი: ცხოვრების წინმსვლელობისათვის, მუშათა კლასს, საუკეთესო საშვალებით მაახლოვა კლასთა ბრძოლა. და სატარიფო პალატის, ან მომრიგებელი კამერების არსებობა, რომლის საშვალებითაც ხდება მორიგება მუშისა და კაპიტალისტის, ეწინააღმდეგება თუ არა კლასთა ბრძოლის პრინციპს? ნელდება თუ არა მუშის ფსიხოლოგიაში თანაგრძნობა კაპიტალისტისადმი? ამის გარკვევაც აუცილებელია.

ერთიც კიდევ საჭიროა გადაჭრით ითქვას, რომ ეს იყოს ერთნაირ სახელმძღვანელოთ: შენდება თუ არა ჩვენში ბურჟუაზიული სახელმწიფო? სახელმწიფოს სათავეში სდგას სოციალ-დემოკრატია, მაგრამ მაინც უნდა ითქვას აშკარათ, „ნურც გვცხვენია და ნურც გვეშინია"...

## მოხელეთა მდგომარეობა

(წერილი ახალქალაქიდან).

მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში არიან ახალქალაქის მაზრის სახელმწიფო დაწესებულებების მოხელენი. ლევერ აყრილმა სპეკულიაციამ ლამის შთანთქას დაღუპებული მუშა-მოხელე. ფასები ბაზარში დღითი-დღე იზრდება: ფუთი სიმინდი იყიდება 1300 მან., ჯერი გირვანქა 40 მან, რაფინადი შაქარი 170—180 მან. ფქვილი 100 მან. ნახშირი და შეშა იმდენივე ძვირია ქალაქში. ფეხსაცმელზე და ტანისამოსზე სწორეთ ზღაპრული ფასებია.

მოხელეს ალებული ჯამაგირი ათ დღესაც არა ჰყოფნის, დანარჩენ 20 დღეს კი შიმშილში და ვაი ვაგლახში ატარებს. შველა არსაიდან არა ჩანს.

ამ ორი კვირის წინეთ მოხელეთა პროფესიონულმა კავშირმა დეპეშით შეატყობინა ოლქის უმწეო მდგომარეობა მო-

მარჩენების სამინისტროს და სთხოვა საჩქარო დახმარება სურსათით, მაგრამ პასუხს დღესაც მოველით. როგორც მთავრობისგან დაკანონებულია, ყველა მუშა-მოხელე უნდა იღებდეს დაბალ ფასებში სურსათ-სანოვაგეს. მ სურსათ-სანოვაგით დიდი ხანია ტკბებიან ყველა ცენტრის და მაზრების მოხელეები, გარდა ჩვენ, ჯავახეთის ახალქალაქის მუშა-მოხელეებისა. დღეს აქნობამდისინ ერთი კაპეიკისა არაფერი არ მიგვიღია იმ მილიონებიდან, რომლებიც იხარჯება მაგ საგანზე. როგორც სჩანს, ჩვენ ახალქალაქის მაზრის მუშა-მოხელენი, გერები ვყოფილვართ რესპუბლიკისა, მაგრამ ეგეც არა გვჯერა, იმიტომ, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში გარჩევა არ უნდა იყოს. და რათ ხდება ეს ასე, ჩვენთვის გაუგებარია.

დროა, ბატონებო, ჩვენთვისაც იფიქროთ, მოგვაწოდოთ დროზე სურსათ-სანოვაგე გ პირვებულ, მიგდებულ პროვინციაში, საზღვრის პირას მყოფ მუშა მოხელეებს

მე მგონი, ჩვენც კი გვაქვს ცოტაოდენი ღვაწლი ჩვენი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენაში.

საგენტი.

## პატარა ფელეტონი

### სოფლის კუპლეტები

სპეკულიანტ—ჩარჩ—ვაჭრებმა
მისცეს პირსა პირი,
ტყავს გვაძრობენ, არ გვზოგავენ,
და ამაზე ვსტირი.

——

ფული ფულათ აღარ ფასობს,
საჭმელია ძვირი;
ბევრს შია და ბევრს სწყურია
და ამაზე ვსტირი.

——

ტყე და შეშა ჩამოგვართვეს,
დაამოწმებს ცხვირი;
გვეშინია „ლესნიჩების"
და ამაზე ვსტირი.

——

ავადმყოფობაც ხშირია,
ანთება და ჭირი.
გვეშინია სიკვდილისა,
და ამაზე ვსტირი.

——

ტანთ-საცმელი აღარა გვაქვს,
სარჩული და პირი;
უტან-ფეხოთ ვეღარ ვჩნდებით,
და ამაზე ვსტირი.

——

ზოგიერთებს აღარა სწამთ
არც მღვდელი, არც მწირი,
„რელიგია" შეარყიეს,
და ამაზე ვსტირი.

——

ეკკლესია—მონასტრებთან
შესწყვიტეს კავშირი;
ქეც აქცევენ ეკკლესიებს,
და ამაზე ვსტირი.

——

ჩვენმა „სოციალისტებმა"
გადატეხეს ჩხირი,
ერთხანს სამშობლო არ სწამდათ,
და ამაზე ვსტირი...

——

თუ სიმართლე სადმე დაგცდათ,
ათასი ჰყავსთ გზირი;
ნაობახში ჩაგაჯდენენ,
და ამაზე ვსტირი.

——

ვისაც სამშობლო არ უყვარს,
მას თვალს ნაცარ-ქირი;
კიდევ გვყავან ასეთები,
და ამაზე ვსტირი.

——

დედა ენის სიყვარულზე
მე სულ მუდამ ვყვირი
და როცა არ მიჯერიან,
სულ ყოველთვის ვსტირი.

——

ჯერ კიდევ ბევრსა სჭირდება
ლაგამი, ალვირი!
უცხო უყვარსთ, თავისი სძულთ,
და ამაზე ვსტირი.

——

გადააგდეს სამუდამოთ
ქამანჩა და სტვირი,
მამა პაპის ჩვეულებაც,
და ამაზე ვსტირი.

——

ყველა ერთად გაასწორეს
ლაჩარი და გმირი;
დღე და ღამე ამას ვწუხვარ,
და ამაზე ვსტირი...

ბ. ჭიათურელი.

## აგრარული რეფორმის შედეგები.

მიწათ-მოქმედების სამინისტროთ დაამუშავა მოხსენება, რომელიც ახასიათებს მიწის რეფორმის შედეგებს 1920 წლის პირველ იანვრამდე. ცნობები ვრცელდება 1918 წელზე და ნაწილობრივათ 1919 წელზედაც. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ფაქტიურად ჩამორთმეულ მიწების რაოდენობა 1920 წლის 1 იანვრამდე ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ეს ქვემოდ არის ჩამოთვლილი. გარდა ამისა შეტანილი არ არის სოხუმის ოლქში ჩამორთმეული მიწები, სადაც ეს ჩამორთმევა ხელახლა დასრულდა. აღმოსავლეთ საქართველოში, თუ ვიანგარიშებთ 9 მაზრას, აქტების მიხედვით ჩამორთმეულია 2714 მამული 511,538,97 დეს. თითო მამულის საშუალო რაოდენობა შეადგენდა 188,48 დეს. სულ აღმოსავლეთ საქართველოში ნორმით დატოვებული მიწების რაოდენობა უდრის 27,572,46 დეს. ჩამორთმეულია თელავის მაზრაში 42,139,71 დეს. სიღნაღის 39,159,68; თელავის 44,901,74; ბორჩალოს 91,314,18 დეს.; დუშეთის 20,612,60 დეს.; თიანეთის 31,636,79 დეს; ახალციხის 78,376,24; გორის 120,506,12 დეს; ახალქალაქის 12,685,61 დეს. ამ ცნობებიდან ცხადია, რომ ყველაზე ბევრმეტი მიწა ჩამორთმეულია გორის მაზრაში, სადაც ქართველი ფეოდალები იყვნენ თავმოყრილნი. სულ აღმოსავლეთ საქართველოში ნორმით დატოვებულია 27,572,12 დეს, რაც შეადგენს სულ 5,4% მიწის სივრცისას. დასავლეთ საქართველოს 7 მაზრაში, სოხუმს გარდა სულ ჩამორთმეულია 995 მამული 110,157,95 დეს. ნორმით დატოვებულია 7,115,40 დეს; ქუთაისის მაზრაში ჩამორთმეულია 9,273,09 დეს.; ზუგდიდის 2,887,03 დეს.; ლეჩხუმის 37,668,33 დეს., ოზურგეთის მაზრაში 22,227,67 დეს., რაჭის 139,72 დეს.; სენაკის 28,541,69; შორაპნის 9,420,42 დეს. ამგვარად ყველაზე მეტი ჩამორთმეულია ლეჩხუმის მაზრაში, სადაც ნორმით დატოვებულია 221,73 დეს. ყველაზე ნაკლები ჩამორთმეულია რაჭის მაზრაში, სადაც ნორმით დატოვებულია 57,93 დეს.

თანახმად მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცნობისა სულ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ფონდში 610,574,57 დეს. (მიწა) გადავიდა. მცხოვრებლებს ნორმით 34,687,36 დეს. დარჩათ, ჩამორთმეული მიწები შემდეგ ნაირათ არის განაწილებული. აღმოსავლეთ საქართველოში კულტურული მიწები—146,784,01 დეს. საძოვარი ადგილები—63,567,81 დეს. ტყე—211,511,76 და გამოუსადეგარი მიწები: 150,22,64 დ. დასავლეთ საქართველოში (ქუთ. გუბ.) კულტურული მიწები—29,932,26 დეს. საძოვარი ადგილები—6,839,88 დეს. ამ ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ტფილისის გუბერნიაში კულტურული მიწები მთელი მიწის 30,33% შეადგენს, ქუთაისის გუბერნიაში კი 6,64%: ორივე გუბერნიაში კი 42,10 პროც. შემდეგ მიწათ-მოქმედების სამინისტრო იტყობინება, რომ თანახმად 1917 წლის მომხდარ აღწერისა, სულ საქართველოში ითვლება 3631 სოფელი, 1,862,419 მცხოვრებით. ამ რიგათ შეიძლება ითქვას, რომ საშუალოდ სათითაოდ მაწიდან გლეხის ოჯახმა თითო დესიატინა მიიღო.

## აზერბეიჯანელების პროტესტი

რუსეთის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის აზერბეიჯანის დელეგაციის და აზერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეთ აგაევმა შემართა პროტესტით მთელ კულტურულ კაცობრიობას იმ ამბების გამო, რომლებსაც ჰქონდათ ადგილი აზერბეიჯანში. ის აცხადებს პროტესტს პირველად უცხოს ძალის მიერ აზერბეიჯანის ოკუპაციის წინააღმდეგ; ხოლო იმ ფაქტს, რომ აზერბეიჯანმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა საბჭოთა რუსეთის ჯარებს, ხსნის მთელი ჯარების სომხეთის საზღვრებისაკენ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლათ გადაყვანით. ამან ხელი შეუწყო აზერბეიჯანის მალე დაცემას და რუსეთის ჯარების ბაქოში შესვლას. და აქ, ბაქოში, აგაევის სიტყვებით, ახალმა ძალამ ჩაიდინა მრავალი ძალმომრეობა: გამოსცა ბევრი ახალი აქტი, რაც მდგომარეობს ქვეყნის პოლიტიკურად დამორჩილებაში და ხალხის ნაამაგრის გატაცებაში. ამან გამოიწვია ჯერ ფარული წინააღმდეგობა და უკმაყოფილება ხალხისა, შემდეგ კი სტიქიურად წარმოშობილი აჯანყებები. ამაზედ კომუნისტებმა უპასუხეს ზარბაზნებით და სრულიად განადგურებულ იქნა ქალ. განჯის მუსულმანური ნაწილი. მოკლულ იქმნა 8000 მუსულმანი, ხოლო 1500 მუსულმანი ქალი გააუპატიურეს რუსეთის წითელ არმიელებმა ქალაქში შესვლის დროს.

ესლა უდიდესი ნაწილი აზერბეიჯანის ტერიტორიისა აჯანყებათა ცეცხლით არის მოცული და აზერბეიჯანის მოქალაქეთა სისხლით ირწყვება. შემდეგ აგაევი აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის რესპუბლიკის მხრივ არას დროს არ ყოფილა გადადგმული რაიმე მტრული ნაბიჯი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. პირიქით, ის მიისწრაფოდა დაემყარებინა მასთან კეთილი ურთიერთობა.

აგაევი აქცევს რა ამ გარემოებას ყურადღებას, მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე იქნას შეწყვეტილი ეს სისხლის ღვრა და ერის ყველების ფეხქვეშ გათელვა. და ბოლოს დასძენს: თუ რუსეთის წითელი ჯარები არ დასტოვებენ აზერბეიჯანის ფარგლებს, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა შემდეგში მოსალოდნელი ამბების შესახებ სავსებით საბჭოთა რუსეთს დაეკისრებაო.

## უკანასკნელი ცნობები

ნური ფაშამ თავისი ჯარი ჯებანშირის და კარიჩინის მაზრის ქვეით ნაწილებში გადმოიყვანა. აწყობენ ახალ ძალებს. რაზმებს შეუერთდა არეშის, ნუხის, ლენქორანის მაზრის თათრები.

ნური ფაშამ თავისი თავი ყარაბახის უმაღლეს მართველად გამოაცხადა.

—

ბათუმის საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიკვიშვილმა ბრძანება გამოსცა, სადაც ამბობს, რომ სამუსლიმანო საქართველოში ავტონომია განხორციელდება.

—

ვრანგელის ჯარებმა უკრაინასა და დონისაკენ გაიძულდება. ბოლშევიკები უკან იხევენ.

—

სპას კონფერენციაზე გერმანია დასთანხმდა ანტანტის მოთხოვნილებათა შესრულებას.

—

ბ-ნ კიროვს 8 ივლისს ნოე ჟორდანიასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მეორე საეკლესიო კრება

(ოქმები)

**I. კვირა 27 ივნისი 1920 წ.**

ქ. თბილისში სიონის ტაძარში საეკლესიო კრების ყველა დელეგატთა თანდასწრებით სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქ ლეონიდისა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ამბროსისა და ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარის მიერ შესრულებულ იქნა წირვა, რის შემდეგ კათალიკოს პატრიარქ ლეონიდემ მისალმებითი სიტყვის შემდეგ სრულიად საქართველოს საკათალიკოსო მეორე საეკლესიო კრება გახსნილად გამოაცხადა და გადახდილ იქმნა პანაშვიდი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისა სულის მოსახსენებლად. კრების გახსნის გამო პირველი სხდომა საეკლესიო კრების დელეგატთა დანიშნულ იქნა 28 ივნისს 1920 წ. დილისათვის ძველ სემინარიის შენობაში.

**II. 28 ორშაბათი ივნისი.**

დილის ცხრა საათზე კათალიკოს-პატრიარქი მიესალმა ჩამოსულ დელეგატებს, მოკლეთ აღნუსხა საკათალიკოსო საბჭოს წარსული სამი წლის მოქმედება, შეეხო ეკლესიის მდგომარეობას დღეს და გამოაცხადა რა კრება გახსნილად წინადადება მისცა დელეგატებს აერჩიათ პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თავჯდომარის ამხანაგები ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი, ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი, დეკანოზი გაბრიელ ცაგარეიშვილი, დეკანოზი დიმიტრი მარღანია, პ. გოთუა, სპ. კედია, ასათიანი და ზ. ქიტიაშვილი, მდივნებათ—ერასტი თუთბერიძე, ილარიონ ქლენტი, დეკ. გიორგი ინაშვილი, პლატონ ჯიშკარიანი და პავლე ჩხეიძე. სამანდატო კომისიაში არჩეულ იქნენ: დეკანოზი სიმონ ქელიძე, ბართლომე ლუდუშაური, იოანე ბობოხიძე, დეკ. ივანე მარგიანი, დათეშიძე და გერასიმე იმნაიშვილი. ამის შემდეგ წაკითხულ იქნა საკათალიკოსო საბჭოს მიერ წარმოდგენილი საეკლესიო კრების რეგლამენტი რომელიც მიღებულ იქნა შემდეგი შესწორებით! რეგლამენტის მეცხრე და მეათე მუხლი შეიცვალა და ნება მიეცა ორატორს ერთ და იმავე საგანზე ილაპარაკოს ორჯერ, პირველად ლაპარაკის დრო განისაზღვრება 20 წუთით და მეორეთ ათით. დელეგატ აქვს. აბესაძის წინადადებით კრება არდგენს მიესალმოს საეკლესიო კრება საქართველოს სახელოვან ჯარსა და გვარდიას. შემოტანილ იქნა კითხვა, თუ რატომ არ ესწრება კრებას მთავრობის წარმომადგენელნი, ამ კითხვაზე კრების მომწვევნი უპასუხებენ, რომ კრებაზე მოწვეულნი არის მთავრობის წარმომადგენელი, მაგრამ არ იციან მათი არ მოსვლის მიზეზი. ვინაიდან ამ კრების დიადი მნიშვნელობა აქვს მთელი ერისათვის და გადასაჭრელია სხვა კითხვებთან ერთად კითხვა ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფისა, რომელსაც არსებითი კავშირი აქვს მთავრობასთან, დადგენილ იქნა გაგზავნილ იქნას დელეგაცია მთავრობასთან, რომელშიც უნდა შევიდენ დელეგატთაგან საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენელნი. არჩევა ამ დელეგაციისა გადაიდო კრების დასასრულისათვის. ამის შემდეგ წაკითხულ იქნა სია კრებისათვის მოსახსენებელ და გასარჩევ საკითხებისა, რომელიც კრებამ მიიღო და დაუმატა გასარჩევათ კიდევ შემდეგი კითხვები:

1) ძველი ღვთის მსახურების აღდგენა ეკლესიაში. 2) ეკლესიის მდგომარეობა ზაქათალის ოლქში, 3) სამღვდელო პირთა მიერ ორი თანამდებობის ასრულების შესახებ; 4) ბოდბის სამიტროპოლიტოს დაარსება. 5) სარწმუნოებრივ მოძრაობის გამო სამღვდელო პირთა დატუსაღება იმერეთში 6) საეკლესიო ცხოვრების დაცემის მიზეზი, 7) ეკლესიის უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობა საქართველოს რესპუბლიკაში, 8) საკითხი ჭყონდიდელის არჩევისა. 9) გურიის ეპარქიის დაარსება. 10) საქართველოს სამღვდელოების პროფესიონალურ კავშირის დაარსება. 11) მრევლთა გადამიჯვნა იმერეთის ეპარქიაში. 12) ტიბიკონისა და ლიტურგიის წესის გადასინჯვა. კრებამ დაადგინა ყველა საკითხზე წარმოდგენილ იქნას წერილობითი მოხსენება. ამ საკითხთა გასარჩევათ და კრებაზე მოსახსენებლათ არჩეულ იქნა 6 კომისია: იურიდიული, ფინანსიური, საგანმანათებლო, ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებათა გადათვალიერებისა, ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფისა და ტიბიკონის და ლიტურგიის წესის გადასინჯვისა.

პირველი კომისია. იურიდიული კომისიის გასარჩევ საკითხებში შედიან შემდეგი კითხვები: 1) სამღვდელო პირთა მოქალაქობრივ უფლებობა შეზღუდვა, 2) ქორწინება-განქორწინების კანონი, 3) მთავრობის მიერ სასულიერო უწყების სასწავლებელთა შენობის ჩამორთმევა. 4) საეკლესიო დისციპლინის აღდგენა, 5) საკათალიკოზო საბჭოს სასამართლოს არაჩვეულებრივი კრების გაჩენება საბჭოს წევრის დეკანოზ ნ. თალაკვაძის შესახებ. 6) სამღვდელო პირთ დატუსაღება იმერეთში. 7) ეკლესიის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობა რესპუბლიკაში 8) პროფ. კავშირის დაარსება.

ფინანსიური კომისიის მიერ გასარჩევი კითხვები: 1) სამღვდელოებისა და მართვა-გამგეობის ორგანოთა შესახებ წყაროების გამოძებნა, 2) საეკლესიო კრების დელეგატთა ხარჯები. 3) გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან, და ახალციხის მაზრაში მტრისაგან დაზარალებულთა დახმარება.

საგანმანათებლო კომისიის გასარჩევი კითხვები: 1) სამღვდელო კანდიდატთა და საეკლესიო მოსამსახურეთა მოსამზადებელი დაწესებულება 2) საეკლესიო სამონასტრო ცხოვრების გაღვიძება და სარწმუნოებრივი შეგნების განმტკიცება 3) სალვთო-სჯულის სწავლების აღდგენა სასწავლებლებში. 4) გაუმჯობესება საეკლესიო კითხვა გალობისა 5) ბეჭდვითი ორგანოს დაარსება, 6) ეკლესიის მდგომარეობა ზაქათალის ოლქში. 7) ძველი ღვთის მსახურების აღდგენა ეკლესიებში, 8) საეკლესიო ცხოვრების დაცემის მიზეზი.

ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებათა გადათვალიერების კომისიის მიერ გასარჩევი კითხვები: 1) საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, 2) მცხეთა-თბილისის ეპარქიათა შეერთებისათვის, 3) სამთავისის ურბნის სამრევლოების მიწერისათვის ურბნისის ეპარქიაზე. 4) ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის აღდგენისათვის, 5) კათალიკოს-პატრიარქის ქუთათელისა და ცხუმ-აფხაზეთის არჩევნების შესახებ, 6) ცხუმ-აფხაზეთის მღვდელ-მთავრისათვის მიტროპოლიტის პატივის მიკუთვნებისათვის, 7) სამმო-შემოსავლის განაწილება კრებულთა შორის 8) საკრებულო ტაძრების საკითხი 9) ეკლესიის მდგომარეობა ზაქათალის ოლქში. 10) გურიის დამოუკიდებელი ეპარქიის აღდგენა. 11) მრევლთა გადამიჯვნა 12) მღვდლის მიერ ორი თანამდებობის შესრულების შესახებ, 13) ბოდბის სამიტროპოლიტოს დაარსება. 14) ჭყონდიდელის არჩევა. კომისია ეკლესიის გამოყოფისა სახელმწიფოდან და კომისია ტიბიკონისა და ლიტურგიის წესის გადასინჯვისა.

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებათა გადათვალიერებისა და მათში ცვლილებათა შეტანის კომისიაში არჩეულ იქნენ. 1) დეკ. იასონ კაპანაძე 2) დეკ. მირიანაშვილი, 3) დეკ. სვანიძე, 4) ყოვ. სამღვდელო დავითი, 5) დეკ. ლვინიაშვილი, 6) ძეხთეშაშვილი, 7) ერასტი თუთბერიძე, 8) დეკ. ი. წერეთელი, 9) ევსევი ჩიხლაძე, 10) ერასტი გიბრაძე 11) დეკ. სპ. ღუკვეიშვილი, 12) ეპ. ჩხაიძე, 13) დეკ. ნიკიტა თალაკვაძე, 14) ალ. ასათიანი, 15) დეკ. გერვასი ბარათაშვილი, 16) ივანე მარგიანი, 17) სოლომონ ანდღულაძე, 18) ერისტო კალანდარაშვილი, 19) ფევრონი შენგელია, 20) ნი. მეგრელიშვილი, 21) ზაქ. ცინცაძე, 22) იოანე ბობოხიძე, 23) ამბრ. ფოფხაძე, 24) ჯიმშერ-უშვილი. 25) ქუმსიაშვილი ათანას.

ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის კომისია: 1) დეკ. გამრეკელი, 2) ღვდ. სალარიძე 3) სვვ. ერისთავი, 4) ღვდ. გაბუნია, 5) ვლ. მიქელაძე, 6) ღვთისავრიშვილი, 7) ზირაქიშვილი 8) სპ. კედია 9) დეკ. კეკელიძე, 10) დეკ. ფოფხაძე, 11) დეკ. ნ. თალაკვაძე, 12) ივ ყიფიანი, 12) დეკ. მარგიანი, 14) დევიძე, 15) ნახუცრიშვილი, 16) ჭელიძე, 17) იერემია გულისაშვილი.

იურიდიული კომისია 1) იასონ ათაქიძე, 2) მ. აბდუშელიშვილი, 3) პავლე ჩხეიძე, 4) მიტროპოლიტი ნაზარი, 5) დეკ. ცინცაძე, 6) დეკ. ნ. თალაკვაძე, 7) ძიძიშვილი, 8) იაკობ ცინცაძე, 9) ილარიონ ქლენტი, 10) იოსავა, 11) ნიკო თავდგირიძე, 12) ზ. ქიტიაშვილი.

საგანმანათებლო კომისია 1) დეკ. მარღანია, 2) დეკ გერსამია, 3) არჩ. ციხისთვიშვილი, 4) ილიკო წერეთელი, 5) ზზპ. ვლ. აბრამიშვილი, 6) იმნაიშვილი, 7) ღვდ ფილიაშვილი, 8) იაშვილი, 9) აბდუშელიშვილი, 10) იშხნელი 11) თ. მეგრელიშვილი, 12) იაკობ გველესიანი 13) ვლ. აბესაძე, 14) მირიან, ჯინორიძე, 15) ანტონ კასრაძე, 16).

ფინანსიური კომისია 1) დეკ. ხარებავა, 2) მიქელაძე, 3) ზაქ ქიტიაშვილი, 4) დეკ. ვაჩეიშვილი, 5) ირაკლი ცინცაძე, 6) ნიკიფორე გაფრინდაშვილი, 7) მიხ. ტყემალაძე, 8) ალ. ასათიანი, 9) ილარიონ ქლენტი, 10) ვლ. მიქელაძე, 11) ქორღოლიანი. 12) დეკ. ჩაჩიბაია, 13) მახარაშვილი.

კომისია ტიბიკონისა და ლიტურგიის წესის გადასინჯვისა 1) გიუნაშვილი, 2) კეკელიძე, 3) კალ. ცინცაძე, 4) იუსტ. მამფორია, 5) დეკ გორგაძე, 6) ეპისკოპოსი პიროსი 7) დეკ. მირიანაშვილი. 8) თოთიბაძე, 9) დეკ. ცაგარეიშვილი, 10) გოცირიძე

ყოველი კომისია თვით ირჩევს თავის თავმჯდომარეს, და ყოფს ყოველ საკითხში განსაკუთრებულ მომხსენებელი.

ყველა კომისიების კრება დაინიშნა სალამოს შვიდის საათისათვის ამის შემდეგ კრებამ აირჩია მთავრობასთან გასაგზავნი დელეგაცია შემდეგი პირებისაგან: 1) ბაადურაშვილი ზაქარია 2) ნიკო ახალკაცი, 3) ვლ. მიქელაძე, 4) სით გოგელია, 5) ქ. ბ-ნი შალამბერიძისა, 6) დუტუ პაპაშვილი, 7) ვარლ. ძიძიშვილი, 8) ნავროზაშვილი, 9) გაბრ ცაგარეიშვილი, 10) დეკ. მარღანია და ილ. წერეთელი დელეგაციას დაევალა ყოველმხრივ გაშუქება ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობისა და სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთ დამოკიდებულების გამოკვლევისა. კრება დაიხურა ნაშუადღევის 3 საათზე და დაინიშნა შემდეგი დღისათვის 29 ივნისის დილის 9 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში.

**III. სამშაბათი ივნისის 29.**

დილის $9^1/_2$ საათზე კრება გაიხსნა ქაშვეთის ეკლესიაში მისი უწმინდესობის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თავჯდომარეობით.

კრებას დაესწრენ პრეზიდიუმის წევრები:

მიტროპოლიტები: ნაზარი ქუთათელი და ამბროსი ცხუმ-აფხაზეთელი, დეკანოზი გაბრიელ ცაგარეიშვილი, დეკ. დიმიტრი მარღანია, ბ-ნი ქიტიაშვილი და ალექსანდრე ასათიანი, მდივნები: ერასტი თუთბერიძე, ილარიონ ქლენტი, დეკ. გიორგი ინაშვილი, პავლე ჩხეიძე და პლატონ ჯიშკარიანი და მთელი შემადგენლობა წევრთა.

წაკითხულ და მიღებულ იქმნა 27 და 28 ივნისის კრების მოქმედებათა ოქმი. წაკითხულ და მიღებულ იქმნა აგრეთვე სამანდატო კომისიის დადგენილება დელეგატთა მანდატების გარჩევა-კანონიერების შესახებ. ნება მიეცა კონსტანტინე სვიმონიშვილს კრებაზე დასწრებისა სათათბირო ხმით ბორჩალოს და ახალციხის მაზრათა საეკლესიო საქმის გარჩევის დროს

დაბოლოვებით და დასტურდა მთავრობასთან [illegible] ციის სია, რომელიც [illegible] ქმედებათა საქმეში.

წაკითხულ და მოწონებულ იქმნა დეპეშა სამხედრო მინისტრთან საეკლესიო კრების სახელით საქართველოს სახელოვან ჯარისა და გვარდიისადმი მისალმების შესახებ.

თავჯდომარის ნებართვით დელეგატი პოლკ. ავქსენტი აბესაძე, ჯარის და გვარდიის სახელით მიესალმა საეკლესიო კრებას, მოკლეთ აღნიშნა რა გრძნობიერ სიტყვაში ის დიდი ღვაწლი და ამაგი, რომელიც საქართველოს ეკლესიას და მის სამღვდელოებას მიუძღვის სამშობლოს წინაშე.

შემდგა საგანგებო კომისია დელეგატთა ნიკო დავდგირიძისაგან, პავლე ჩხეიძისაგან და ბ-ნი დოჭვირისაგან, რომელსაც დაევალა მღვდლის სვიმონ ფხალაძის საქმის გადასინჯვა და კრებისადმი მოხსენება.

შემდეგ დაიწყო გარჩევა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაზე საკათალიკოზო საბჭოსაგან დამზადებული დებულების პროექტისა. ამ დებულების მომხსენებელმა დეკ. კალისტრატე ცინცაძემ წინა სიტყვაობით გააცნო კრებას, თუ რა პირობებში და რა წესით იყო შემდგარი საკათალიკოზო საბჭოსაგან ეს დებულება და შემდეგ უმრავლესობის სურვილისა თანახმად კრება გადავიდა ამა დებულების მუხლობრივ გარჩევაზე. დაწვრილებით გარჩეულ იქმნა ამა დებულების სამი მუხლი, აგრეთვე მეორე და მესამე მუხლების ქვეშ მიწერილი რვა შენიშვნა, რომლებიც ხმის უმეტესობით იქმნენ მიღებული შემდეგი შესწორებით:

1) § 2 მეთერთმეტე მუხლს დაუმატოს ცალკე დადგენილება; ,,სანამ გურიის ეპარქიაში საკუთარი მღვდელ-მთავარი დაინიშნებოდეს, ეხლანდელი გურია მეგრელიის ეპისკოპოზს ეწოდებოდეს ჭყონდიდელ-შემოქმედელი''.

2) საეკლესიო კრებისათვის მესამე მუხლში აღნიშნული ორ-ორი წარმომადგენელი, იყოს გამოგზავნილი თვითეული, საეკლესიო კრებაზე ხმის უფლებით ესწრებიან თითო წარმომადგენელი სასულიერო უმაღლესი და საშუალო სასწავლებლიდან, აგრეთვე საქართველოს უნივერსიტეტიდან.

3) მესამე მუხლის მეორე შენიშვნაში საეკლესიო კრების დელეგატი უნდა იქმნეს: საერო პირთაგან ისეთი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ მაინც არის ნაზიარები, ხოლო სამღვდელო პირთაგან ისეთი, ვინც ყოველ წლივ ორჯელ იტყვის აღსარებას თავის მოძღვართან და, არც ერთს მათთაგანს სასამართლოსაგან არა აქვს ჩამორთმეული ანუ შეზღუდული საზოგადოთ კრებაზედასწრების უფლება.

რადგან საეკლესიო კრებაზე უმეტესობა კითხვებისა ხმის მიცემით წყდება, რამოდენიმე დელეგატმა მოითხოვა გასვლა კრების დარბაზიდან იმ პირთა, რომლებიც კრების წევრათ არ ითვლებიან და მომავალში კრების სხდომაზე შემოშვება ბილეთებით, დასაკმაყოფილებლად ასეთი მოთხოვნილებისა კრება დროებით შეწყდა.

დარბაზიდან გავიდა და შემდეგ შემობრუნდა სამანდატო კომისიასგან შემდგარი სიით, დამზადდა აგრეთვე ბილეთები კრების წევრთათვის შემდეგ სხდომებზე შემოსასვლელად და უმეტესობას დაურიგდა კიდეც; უმანდატოთ შემოშვება კრების სხდომაზე უარყოფილ იქმნა გარდა იმ პირთა, რომელთაც მოწვევა კრებაზე განსაზღვრულია კრების რეგლამენტში.

კრება დაიხურა ნაშუადღევის ოთხ საათზედ და დაინიშნა შემდეგი დღისათვის 30 ივნის დილის 9 საათზე ქაშვეთის ტაძარში გასაგრძელებლად უკვე დაწყებული ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მუხლობრივ განხილვისა.

ტფილისი. სტამბა „სახალხო საქმე" კალოუბნის ქ. № 14

რედაქტორი გრ. ვეშაპელი